



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 086/17¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა ქურდაძე (სტუდენტი)

საქმის ფაქტები

კლიენტსა და მის დას შორის მიმდინარეობდა დავა სახლის საკუთრების უფლების მოპოვების შესახებ, დავა მიმდინარეობდა რამოდენიმე წლის განმავლობაში და საქმე განიხილა ისტანციის სასამართლომ და იქნა გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება, გამოტანილი გადაწყვეტილების აღსასრულებლად მისულმა კლიენტმა გაიგო რომ სახლი იყო მისი ადვოკატის საკუთრებაში. ადვოკატის განმარტებით სახლი შეისყიდა თავად კლიენტისაგან, რადგან თავად კლიენტმა შესთავაზა რომ ეყიდა სახლი და გადასცა შედარებით ნაკლებ ფასად.

პროცედურული ისტორია

საპროცესო კოლეგიის მითითებით, ადვოკატმა საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვის დროს, გადაიფორმა კლიენტის სახელზე რიცხული ქონება. აღნიშნული მოქმედება განახორციელა მაშინ, როდესაც კლიენტისგან ადვოკატისთვის მინიჭებული უფლებამოსილებას იურიდიული ძალა კვლავ ჰქონდა არა მხოლოდ ფორმალური იურიდიული თვალსაზრისით, არამედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის რეალურად არსებობის დროს. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებით მათ დამატებით, გარკვეული სამოქალაქო სამართლებრივი უფლება-მოვალეობები წარმოეშობათ ერთმანეთის მიმართ. ამ ფაქტს კი გავლენა შეუძლია მოახდინოს ადვოკატის საქმიანობაზე და ხელი შეუშალოს მის მიერ დამოუკიდებელი პროფესიული განსჯის განხორციელებას. სწორედ ამიტომ საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ქმედებით ადვოკატმა შესაძლოა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლი.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატი იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. ადვოკატმა, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელმა, კანონიერების პრინციპის დაცვით, ყველაფერი უნდა გააკეთოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით. ადვოკატის კეთილსინდისიერმა მოქმედებებმა უნდა უზრუნველყოს ადვოკატის რეპუტაციის განმტკიცება და იურიდიული პროფესიის პატივისცემა გონივრული დამკვირვებლის თვალში. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია თავი აარიდოს ისეთ ვითარებას, რომელსაც შეუძლია თუნდაც ეჭვის საფუძვლის გაჩენა საადვოკატო საქმიანობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის თაობაზე. ადვოკატი უნდა ზრუნავდეს ყოველგვარი ზეგავლენისგან დამოუკიდებლად წარმართოს საქმიანობა და არ დაუშვას მის საქმიანობაში რაიმე სახით ჩარევა, თუნდაც აღნიშნული კლიენტის მითითებებიდან გამომდინარეობდეს. მართალია ადვოკატის მიერ ქონების შესყიდვით, მისი კლიენტი

¹ <https://gba.ge/pdf/5d7255d8182fd.pdf/086.17%20%2025.02.2019%20gaftrtileba.pdf>

ჩამოშორდა სადავო სახლს და ახალი დავის ფარგლებში ადვოკატმა განაგრძო საპროცესო მხარედ მონაწილეობა, რაც ადვოკატმა შესაძლოა განახორციელა როგორც პირადი ინტერესების ასევე კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. თუმცა, ასეთ ვითარებაშიც, ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვა ვერ იქნება გამართლებული კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპით.

დასკვნა

განხილვის კოლეგიამ დაადგინა დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა და ადვოკატს სახდელის სახით განესაზღვრა გაფრთხილება.